

საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შესახებ რეზოლუციის 1633 (2008) განხორციელება

რეზოლუცია 1647 (2009)¹

1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მთლიანად ადასტურებს 2008 წლის 2 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციას 1633 (2008) “საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შესახებ.” აღნიშნულ რეზოლუციაში, ასამბლეამ ცალსახად დაგმო ორ წევრ სახელმწიფოს შორის ომის ფაქტი და მიიჩნია, რომ ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც, ორივე ქვეყანამ დაარღვია ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები, ისევე როგორც ევროპის საბჭოს წესდება და გაწევრიანებისას ამ ქვეყნების მიერ ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებები. ამდენად, ასამბლეამ ორივე სახელმწიფოს, საქართველოს და რუსეთს, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის *დე ფაქტო* მმართველობის ორგანოებს მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენა; მათ შორის მოთხოვნა რუსეთის მიმართ, აღნიშნული ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების უკან გაწვევის შესახებ. ამგვარად, ომის შედეგების აღმოსაფხვრელად, საპარლამენტო ასამბლეამ, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, ასევე მთლიანად ასამბლეას წარმოუდგინა კონკრეტული სამოქმედო გეგმა,

2. საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება 2008 წლის 2 დეკემბერს ევროპის კავშირის მიერ საქართველოში არსებული კონფლიქტის ფაქტების შემსწავლელი დამოუკიდებელი მისიის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და მისი მიმდინარეობა, მათ შორის, საერთაშორისო სამართალთან და ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებთან, ისევე როგორც ადამიანის უფლებებთან და ამ კონტექსტში წამოყენებულ ბრალდებებთან მიმართებაში. ქმედარტების დადგენის და სამომავლოდ საქართველო-რუსეთს შორის შერიგების საფუძვლების შექმნის თვალსაზრისით, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა:

2.1 მიესალმება რუსეთის და საქართველოს მიერ ომის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების შექმნის მხარდაჭერას, ისევე როგორც მათ მიერ გამოხატულ მზადყოფნას გამოძიებასთან სრულად თანამშრომლობის შესახებ;

2.2. მოუწოდებს რუსეთს და საქართველოს დაუყოვნებლივ, ეფექტიანად, სრულად და უპირობოდ ითანამშრომლონ ევროპის კავშირის ფაქტების შემსწავლელ მისიასთან;

2.3 მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ამ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს მიაწოდონ ფაქტების შემსწავლელ მისიას ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის სატელიტური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც რელევანტური იქნება გამოძიების პროცესთან;

2.4. მოუწოდებს ევროპის საბჭოს იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ამავე დროს არიან ევროპის კავშირის წევრები, უწრუნველყონ აღნიშნული მისიის დასკვნის ევროპის საბჭოსთვის წარმოდგენა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე განხილვა და საშუალება მიეცეს ევროპის საბჭოს გააგრძელოს საკუთარი მოვალეობების შესრულება ორ წევრ სახელმწიფოს შორის არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით;

2.5 ადგენს, რომ დაუბრუნდება ომის გამომწვევ მიზეზებზე და მისი მიმდინარეობის ზუსტ გარემოებებზე მსჯელობას მას შემდეგ, რაც ევროპის კავშირის მისია წარმოადგენს საკუთარ დასკვნას.

3. ასამბლეა მოუწოდებს ყველა მხარეს კონსტრუქციული სულისკვეთებით განაგრძონ ქენვეის მოლაპარაკებები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების მოდალობებზე, თანათავმჯდომარე ორგანიზაციების მიერ (გაერო, ეუთო და ევროპის კავშირი) შემოთავაზებული ინციდენტების თავიდან აცილების მექანიზმის შემოღების მიზნის ჩათვლით. ასამბლეა მხარს უჭერს 2008 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლების, მათ შორის *დე ფაქტო* მმართველობის ორგანოების და საქართველოსთან რეინტეგრაციის მომხრეების, აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას. ასამბლეა აგრეთვე დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მოლაპარაკებებზე მათი სტატუსი არ უნდა ლახავდეს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობას. ამდენად, ასამბლეა მოუწოდებს ყველა მხარეს შეთანხმდეს მოლაპარაკებაში მათი მონაწილეობის ფორმულაზე სეპარატისტული რეგიონების სტატუსთან დამოკიდებულების მიუხედავად.

4. საპარლამენტო ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს და მას საერთაშორისო სამართლის და ევროპის საბჭოს ფუძემდებლური პრინციპების დარღვევად მიიჩნევს. ასამბლეა ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერას და იმეორებს მოწოდებას რუსეთისადმი უკან გაიწვიოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი საზღვრების ურღვევობის პრინციპს.

5. ასამბლეა გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ დამაბულობის ესკალაცია და პროვოკაციები ძირს უთხრის რეგიონის სტაბილურობას და შეიძლება გამოიწვიოს შეტაკებების და საომარი მოქმედებების განახლება. ანსამბლეა განსაკუთრებულ მწუხარებას გამოხატავს ბოლო პერიოდში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ ქართველ პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმების გამო. ანსამბლეს მიაჩნია, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიაზე სრულად დაშვება, ისევე როგორც ახალი ინტერნაციონალიზებული სამშვიდობო ძალის ჩამოყალიბება რეგიონში სტაბილურობის და უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი გარანტია, რომელიც არ უნდა გადაიქცეს სტატუსის გარკვევის წინაპირობად. ამდენად, ასამბლეა:

5.1. მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის და *დე ფაქტო* მმართველობის ორგანოების მიერ ეუთოს დამკვირვებლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ხოლო ევროპის კავშირის დამკვირვებლების როგორც სამხრეთი ოსეთის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე დაშვებაზე უარის გამო.

5.2. გამოთქვამს ღრმა მწუხარებას მანდატის მიზეზით რუსეთის წინააღმდეგობის შედეგად საქართველოში ეუთოს მისიის დახურვის გამო და მოუწოდებს ყველა მხარეს, განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლებას, დათანხმდეს საქართველოში ეუთოს მანდატის, მათ შორის სამხედრო მონიტორინგის ოპერაციის, ფორმულაზე, ორი სეპარატისტული რეგიონის სტატუსისადმი დამოკიდებულების მიუხედავად;

5.3 მიესალმება საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებისთვის (UNOMIG) აფხაზეთის ტერიტორიის ხელმისაწვდომობას და მოუწოდებს ყველა მხარეს არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ამ მისიის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2009 წლის 15 თებერვალს გაგრძელებას;

5.4 ანსამბლეა გმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების უმანდატო ყოფნას და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტულ

რეგიონებში, მათ შორის ახალგორში, პერევეში, ზემო აფხაზეთში და იმ სოფლებში, რომლებსაც კონფლიქტის დაწყებამდე აკონტროლებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.

6. ასამბლეა ადასტურებს სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, იგი მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის პარლამენტის ორივე პალატის მიერ ორ სეპარატისტულ რეგიონთან “მეგობრობის და თანამშრომლობის” ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო, რაც ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პრინციპებს და 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

7. ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში ისევე როგორც რუსეთის და *დე ფაქტო* ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არადკვეთას და დამნაშავეების არდასჯას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ *დე ფაქტო* კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს.

8. საქართველოსთან დაკავშირებით, ასამბლეა:

8.1. მიესალმება საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციულ მიდგომას და პოლიტიკურ ნებას შეასრულოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციის მოთხოვნები და მიიჩნევს, რომ საქართველომ შეასრულა ბევრი, მაგრამ არა ყველა მოთხოვნა;

8.2. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დროულად და სრულად შეასრულოს დარჩენილი მოთხოვნები;

8.3. მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნას, რაც ცხადყოფს პარლამენტის მზადყოფნას იმსჯელოს ომის დაწყებისას და მისი მსვლელობისას საქართველოს ხელისუფლების ქმედებების და შეცდომების შესახებ. ასამბლეა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საპარლამენტო კომისიამ დაასრულა მუშაობა და 2008 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა დასკვნა; იგი ასევე მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს გადახედოს აღნიშნულ დასკვნას ევროპის კავშირის ფაქტების შემსწავლელი მისიის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ;

8.4 ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ, როგორც საქართველოს ასევე რუსეთის მიერ ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის მრავალი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ანსამბლეა მიესალმება საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ ორივე მხარის მიერ ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოძიების დაწყებას და მოუწოდებს მას ობიექტურად გამოიძიოს დარღვევების ნებისმიერი ფაქტი და უზრუნველყოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა;

8.5 გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლის პრინციპებს, მათ შორის ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციას. ამდენად ანსამბლეა მოუწოდებს საქართველოს დროულად შეასრულოს ევროპული კომისიის დემოკრატია კანონის უზენაესობის გზით (ვენეციის

კომისია) მომავალი რეკომენდაციები ამ კანონთან დაკავშირებით, საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მოთხოვნის თანახმად;

8.6 მოუწოდებს საქართველოს თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც გამოიწვევს დაძაბულობის პროვოცირებას ან ესკალაციას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ.

9. რუსეთთან მიმართებით, ასამბლეა:

9.1. ითვალისწინებს რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოხატულ განზრახვას კონფლიქტის თაობაზე ასამბლეასთან კონსტრუქციული და ღია დიალოგის წარმოების შესახებ;

9.2. მიესალმება რუსეთის პარლამენტის წევრების მზაობას ასამბლეის ეგიდით გამართონ დიალოგი თავის ქართველ კოლეგებთან;

9.3. მოუწოდებს რუსეთს სრულად და უპირობოდ შეასრულოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, უკან გაიწვიოს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარება, შეასრულოს ევროპის კავშირის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელიც უფლებას აძლევს ეუთოსა და ევროპის კავშირის მონიტორებს შევიდნენ სამხრეთ ოსეთში, საქართველო და აფხაზეთში, საქართველო; და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით იმუშაონ ახალი სამშვიდობო ფორმატისა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბებაზე;

9.4. კერძოდ მოუწოდებს რუსეთს გამოვიდეს ახალგორის რაიონიდან, ზემო აფხაზეთიდან, ცხინვალის გარშემო ქართული ანკლავიდან, სოფელი პერევიდან და დაიყვანოს თავისი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა კონფლიქტამდე არსებულ ოდენობამდე;

9.5. მოუწოდებს რუსეთს სრულად და უპირობოდ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყველა პუნქტი;

9.6. მოუწოდებს რუსეთს დათანხმდეს საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის განახლებას, მისიის სამხედრო მონიტორინგის ოპერაციის ჩათვლით;

9.7. მიმართავს რუსეთს არ შეუქმნას რაიმე სახის დაბრკოლება საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) აფხაზეთში მანდატის განახლებას;

9.8. მოუწოდებს რუსეთს, შემდგომი დაყოვნების გარეშე მისცეს სრული დაშვება ყველა საერთაშორისო დამკვირვებელს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი სრულად დაუშვან ეუთოს დამკვირვებლები სამხრეთ ოსეთსა და ევროკავშირის დამკვირვებლები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, სტატუსის საკითხთან დაკავშირების გარეშე;

9.9. მიმართავს რუსეთს და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, რათა მათ უზრუნველყონ, რომ აღარ მოხდეს ეთნიკური წმენდის ფაქტები და ადამიანის უფლებების სხვა დარღვევები, რომლებიც გრძელდება სამხრეთ ოსეთში და დამნაშავეები სწრაფად წარსდგნენ სასამართლოს წინაშე;

9.10. მოუწოდებს რუსეთსა და ორივე რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყდეს პროვოკაციები და თავდასხმები ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხრიდან და თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც გამოიწვევს ან გაზრდის დაძაბულობას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე;

9.11. მიმართავს რუსეთსა და დე ფაქტო მმართველობის ორგანოებს სრულად უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება მათი ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე;

9.12. ომის მიმდინარეობის და შემდგომი პერიოდის განმავლობაში როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხრიდან ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფაქტების შესახებ მრავალი მტკიცებულების გათვალისწინებით, ანსამბლეა გამოხატავს შეშფოთებას, რომ რუსეთის პროკურატურას არ დაუწყია რუსეთისა და მისი მოკავშირე სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტების გამოძიება. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს დაიწყოს ამგვარი გამოძიება შემდგომი დაყოვნების გარეშე და უზრუნველყოს დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგენა.

10. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, ასამბლეა აღნიშნავს, რომ მათ მთლიანობაში შეასრულეს სამხედრო ტყვეების გაცვლის ვალდებულება, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამს მათი მხრიდან საერთაშორისო მონიტორინგის მისიებთან თანამშრომლობის არარსებობისა და მათი მხრიდან სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების შესვლაზე არაგონივრული შეზღუდვების გამო.

11. ასამბლეა მოუწოდებს როგორც რუსეთს, ასევე საქართველოს:

11.1. უზრუნველყონ ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი და უპირობო დაშვება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე;

11.2. ხელი მოაწერონ, შემდგომი დაყოვნების გარეშე, გაეროს კონვენციას კასეტური იარაღის შესახებ;

11.3. განახორციელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაკისრებული შუალედური ზომები, ისევე როგორც ამ სასამართლოების მიერ კონფლიქტის დროს ჩადენილ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ მომავალში გამოტანილი ყველა განაჩენი და სრულად და უპირობოდ ითანამშრომლონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერ გამოძიებასთან;

11.4. იმუშაონ კონსტრუქციულად ახალი სამშვიდობო ფორმატისა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩამოსაყალიბებლად.

12. ასამბლეა მიესალმება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მცდელობებს დაიცვას რეგიონში ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული უსაფრთხოება. იგი მოუწოდებს როგორც რუსეთს, ასევე საქართველოს, რომ სრულად და ეფექტიანად განახორციელონ ამ მიმართებით კომისრის მიერ ჩამოყალიბებული ექვსი პრინციპი.

13. ასამბლეა კერძოდ შეშფოთებულია პერევეში, ზემო აფხაზეთსა და ახალგორის რაიონში არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობითა და ჰუმანიტარული სიტუაციით, ისევე როგორც ახალგორის რაიონის სტატუსით, რომელიც, თუმცა ტექნიკურად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაწილია, არასოდეს ყოფილა კონტროლირებადი დე ფაქტო ხელისუფლების მიერ და ყოველთვის ძირთადად დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით. ამასთან დაკავშირებით, ანსამბლეა აღნიშნავს, რომ ახალგორის რაიონი ოკუპირებული იქნა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან 3 დღის შემდეგ.

14. ასამბლევას დაუშვებლად მიაჩნია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები, რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შედეგად, არ იყვნენ ეფექტიანად დაცული ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი კონვენციებით. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ევროპის საბჭოს სივრცეზე “შავი ხვრელის” არსებობა დაუშვებელია. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეიმუშავოს ფართომასშტაბიანი სამოქმედო გეგმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებლებისათვის კონვენციის მიერ გარანტირებული უფლებების ეფექტურად განსახორციელებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს ორ სეპარატისტულ რეგიონში სავლელ წარმომადგენლობის გახსნას, როგორც ეს გათვალისწინებულია ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციით, მათ შორის ომბუდსმენის არსებობა, რომელიც განიხილავს თითოეულ განაცხადს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებში. სხვა სანდო გამოძიების საშუალებების არარსებობის პირობებში, ამგვარმა სავლელ წარმომადგენლობამ აგრეთვე უნდა განიხილოს და გამოიძიოს ადამიანის უფლებების სფეროში ომისა და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილი დარღვევები.

15. ასამბლეა ადასტურებს თავის რწმენას, რომ ნამდვილი დიალოგის წარმოება წარმოადგენს ერთადერთ გზას კონფლიქტის მოსაგვარებლად და რეგიონის გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 1633 (2008) რეზოლუციით განსაზღვრული არსებითი დიალოგისათვის აუცილებელი მინიმალური პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ასამბლეა ავალებს ბიუროს დროულად დააფუძნოს სპეციალური დროებითი კომიტეტი, რომელიც მონაწილეობის მისაღებად მოიწვევს როგორც ქართველ ასევე რუს პარლამენტარებს რათა განხილულ იქნას მათ შორის განსხვავებები და ომის შედეგებთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებების იქნას შემუშავებული 1633 (2008) რეზოლუციის შესაბამისად. ასამბლეა აგრეთვე მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების, როგორც დე ფაქტო ხელისუფლების, ასევე საქართველოსთან ინტეგრაციის მომხრეების, შესაძლო მონაწილეობას კომიტეტის მუშაობაში და მიაჩნია, რომ მათი მონაწილეობის ფორმატი წარმოადგენს შესათანხმებელ საკითხს.

16. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის კავშირს განაგრძოს ქართულ-რუსული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ეფექტური გზების ძიება, მათ შორის ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) გაძლიერების და გაფართოების გზით, რათა მან მოიცვას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარე, ისევე როგორც ყოფილი კონფლიქტის ზონების ამჟამად ოკუპირებული ნაწილები და განახორციელოს დაცვისა და სამშვიდობო ფუნქციები.

17. ითვალისწინებს რა საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების ზემოქმედებას სხვა ეგრეთ წოდებულ “გაყინულ კონფლიქტებზე” ევროპაში, ასამბლეა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს გააძლიერონ დიპლომატიური ძალისხმევა, რათა გამოინახოს ისეთი გადაწყვეტები, რომელიც თავიდან აგვაცილებს ძალადობრივ კონფრონტაციას. ამავე დროს, ასამბლევამ უნდა გააძლიეროს საკუთარი ძალისხმევა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მთიან ყარაბაღთან და დნესტრისპირეთთან მიმართებაში.

18. ასამბლეა ადასტურებს საკუთარ ვალდებულებას შეასრულოს როლი კონფლიქტების პრევენციაში და ამ მხრივ მიესალმება პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტში სპეციალური ქვეკომიტეტის შექმნას ევროპაში ადრეული შეტყობინების სისტემებისა და კონფლიქტების პრევენციის საკითხებზე.

19. ასამბლეა მოუწოდებს მონტორინგის კომიტეტს აწარმოოს მონიტორინგი რუსეთისა და საქართველოს მიერ ამ რეზოლუციისა და 1633 (2008) რეზოლუციის შესრულებაზე და ამის შესახებ მოახსენოს ასამბლევას შემდეგ სესიაზე 2009 წლის აპრილში. ასამბლეა ასევე

იმეორებს თხოვნას, რომ მონიტორინგის კომიტეტმა გაამდიეროს საკუთარი მონიტორინგის პროცედურა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთთან მიმართებით.